3.1. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა.

2017 - მაისი

სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსი გამოცხადდა სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტის თანამდებობაზე.

აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე სულ შემოტანილ იქნა 50 განაცხადი.

კონკურსის პირველი ეტაპის - განცხადების გადარჩევის შედეგად გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 41 კანდიდატი. გამოცხადდა და გასაუბრება გაიარა 7კანდიდატმა. კონკურსი ჩატარდა 2017 წლის 5 მაისი.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა 1 კანდიდატმა, ირინა თავხელიძემ.

კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვალი N 46 ბრძანებულებით ,,საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ”.